ზაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#4

29 ივლისი 2020 წელი

12.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გვანცა გრძელიძე

ზაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაკა მესხი
თორნიკე გაჩეჩილაძე
ირინა ტყეშელაშვილი
მამუკა გორგოძე

ზაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნჟრგაძე

ზაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ

მომხს: კახა გოგნაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ე ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის

ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა: კახა გოგნაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ, განცხადა, რომ განსაკუთრებით რთული სამუშაო რეჟიმი იყო სააფთიაქო ქსელთან დაკავშირებით, რადგან ქ.ბაღდათის სააფთიაქო ქსელი არ მუშაობდა 24საათის განმავლობაში და მივწერეთ შესაბამის სამსახურებს, მაგრამ შედეგი არ მოყვა და გვირთულდებოდა მაგრამ ვახერხებდით ქ.ქუთაისის აფთიაქებში საჭირო პრეპარატებით უზრუნველყოფას

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ, განცხადა, რომ ჩვენი მანქანებით მოგვყავდა კარანტინის ზონიდან ჩვენი მაცხოვრებლები, როდესაც კარანტინს გაივლიდნენ თითო-თითო პიროვნებები მოგვყავდა მანქანით, ტრანსპორტი პრქტიკულად არ მოძრაობდა

კომისიის წევრი: მაკა მესხმმა განაცხადა, რომ აფთიაქები 24საათი ქ.ბაღდათში არ მუშაობდა, ექთნების გადაყვანას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა, ეს კერძო კლინიკებმა თვითონ უნდა უზრუნველყონ და მუნიციპალიტეტს არ უნდა გაეწია ხარჯი

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ განაცხადა, რომ ვუერთდებით კომისიის სახელით და დასუთავების სამსახურს ჩვენც ვუცხადებთ მადლობსა გაწეული სამუშაოსათვი იმ ურთულეს პერიოდში

კომისიის წევრი: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ გასაგებია, შეიძლება ვერ ვუზრუნველყოთ ფინანსურად დასუფთავების თანამშრომელთა პრემიების გაცემა, მაგრამ შეიძლება სიმბოლურად მადლობის გამოცხადება და შეკრება, რომ ჩვენ ვაფასებთ მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოებს

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ საკითხი მიიღო ინფორმაციის სახით და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს ხდომაზე

საკითხს თან ერთვის დანართი

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გ. გრძ. გვანცა გრძელიძე